ოქმი N18

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მეოთხე მოწვევის სხდომისა

ქ. ხობი 2018 წლის 28 დეკემბერი

საკრებულოს წევრთა კანონით დადგენილი რაოდენობა - 37

საკრებულოს უფლებამოსილ წევრთა რაოდენობა - 37

რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 29 წევრმა (რეგისტრაციის ფურცელი ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე წევრთა რაოდენობა - 28 (დამსწრეთა სია ოქმს თან ერთვის)

(სხდომას არ ესწრება ი. ჯიშკარიანი)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე საზოგადოების წარმომადგენელთა სია ოქმს თან ერთვის

საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა ედიშერ ჯობავა - საკრებულოს თავმჯდომარე

დღის წესრიგი:

1. „ხობის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის №67 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;

თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი);

2. „ხობის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტისა და ხობის მუნიციპალიტეტის 2019 წლისა და 2020-2022 წლების ადგილობრივი ბიუჯეტის პრიორიტეტებისა და პროგრამების დოკუმენტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;

თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი);

3. „ხობის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიკურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის 2018 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის N82 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;

თანამომხსენებელი: შ. კანკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ვეტერანთა,

ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმეების სამსახურის უფროსი);

4. „ხობის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიკურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის 2019 წლის მუნიციპალური პროგრამის თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ" განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: შ. კანკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმეების სამსახურის უფროსი);

5. „ხობის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის 2019 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ" განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: შ. კანკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმეების სამსახურის უფროსი)

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 27 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 27, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდა: ფ. შონია)

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით

დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთა განხილვა

1. „ხობის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის №67 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" დადგენილების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: დ. ჭოჭუა - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების

შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის №67 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: ტ. ალექსანდრია - გამომსვლელი დაინტერესდა, საახალწლო განათებებისთვის განხორციელდა თუ არა შესყიდვები? როგორც მისთვის ცნობილია ამისთვის 21,0 ათასი ლარი იყო გამოყოფილი, ხოლო ქალაქში ნაძვისხე ჯერ კიდევ არ იყო დადგმული.

მ. ჩოკორაია - მერის მოადგილემ განმარტა, რომ ამ დროისთვის ვერ მოესწრო საახალწლო განათებების შეძენა, რადგანაც გამოცხადებული ტენდერი ჩაიშალა.

ე. ჯობავა - სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ სამ დღეში ახალი წელი შემოდიოდა და ამ დრომდე ქალაქი განათებული უნდა ყოფილიყო. მისი განცხადებით მოსახლეობას არ აინტერესებს ტენდერის ჩაშლის საკითხი. თანხა, როცა გათვალისწინებული იყო ტენდერი დროულად უნდა გამოცხადებულიყო საახალწლო განათებების შესყიდვაზე და ასეთ მდგომარეობაში ქალაქი არ იქნებოდა.

გ. ქაჯაია - მუნიციპალიტეტის მერმა განაცხადა, რომ იღებს შენიშვნას და მომავალი წლისთვის დროულად იქნება შესყიდვები განხორციელებული, „დღეს დაიწყება ნაძვის ხის მორთვა და საახალწლოდ განათებული იქნება ქალაქის ცენტრი“ - განაცხადა მან.

ფ. შონია, კ. ნასარაია - გამომსვლელებმა განაცხადეს, რომ რაც შეიძლება ოპერატიულად უნდა მოხდეს ქალაქის განათება, თორემ სამ დღეში ახალი წელი შემოდიოდა და ქალაქი განათების გარეშე დარჩებოდა, რაც მოსახლეობის სამართლიან გულისწყრომას გამოიწვევდა.

მ. ქარდავა - დაინტერესდა, რატომ მცირდებოდა 16,0 ათასი ლარით ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრისათვის“ დამტკიცებული ასიგნება (მასწავლებელთა დღე) და რატომ მიიმართებოდა საახალწლო ღონისძიებებისთვის. თუ არ აღნიშნავდნენ მასწავლებელთა დღეს, მაშინ თავიდან არ უნდა გაეთვალისწინებინათ აღნიშნული თანხა.

დ. ჭოჭუა - განმარტა, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით პასუხს ვერ გასცემდა, რადგანაც თანხის გადატანა ხდებოდა შესაბამისი სამსახურის უფროსის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე.

ე. ჯობავა - სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მეტი კომუნიკაცია და თანამშრომლობაა საჭირო მერიასა და საკრებულოს შორის, სანამ საკრებულოს წარედგინება ბიუჯეტის პროექტი ცვლილებებისთვის, მანამდე საკრებულოს შესაბამის კომისიებთან ერთად შეთანხმებულად უნდა ხდებოდეს ცვლილებების საბოლოოდ

შეჯერება. საკრებულო მარტო მერიის მიერ წარმოდგენილი პროექტების უპირობოდ მხარდამჭერი ვერ იქნება, შესაბამისად იქნება კითხვები, რომელსაც შესაბამისი სამსახურის მხრიდან უნდა გაეცეს ამომწურავი პასუხი. გამომსვლელმა ასევე განაცხადა, რომ მიმდინარე წლის თებერვალში მერიაში გაიგზავნა წერილი საკრებულოსთვის შესყიდვების გეგმით გათვალისწინებული შესყიდვების განხორციელებაზე, მაგრამ უკვე წლის ბოლოა და მერიამ ვერ განახორციელა მათი შესყიდვა, რომელზეც საკრებულოს სხდომაზე რამდენჯერმე იქნა გაჟღერებული, თუმცა უშედეგოდ.

ზ. ბუკია - მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი - განმარტა, რომ მერიის მიერ ორჯერ იქნა ტენდერი გამოცხადებული აქსესუარების შესყიდვაზე, მაგრამ ტენდერი ორივეჯერ ჩაიშალა.

დებატების დასრულების შემდგომ სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (ტ. ალექსანდრია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

ტ. ალექსანდრია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ „ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნების გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის N68 დადგენილების შესაბამისად, ხობის მუნიციპალიტეტის 2018 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ხობის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებებით მხარჯავი დაწესებულებებისათვის ადგილობრივ ბიუჯეტით გამოყოფილ ასიგნებებში ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებს შორის განხორციელებულია სხვადასხვა გადანაწილებები. ბიუჯეტის მთლიანი მოცულობა, შემოსულობების გეგმა შეადგენს 13701.0 ათას ლარს. გადასახდელები - 16019,4 ათასი ლარს; სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი - 6937,4 ათასი ლარს; მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად - 210,0 ათასი ლარს; გათანაბრებითი ტრანსფერი - 1800,0 ათასი ლარს; რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან - 4927,4 ათასი ლარს; სარეზერვო ფონდი - 10,3 ათასი ლარს; ფინანსური აქტივების ცვლილება, კლება 2318,4 ათასი ლარს.“ გამომსვლელის განცხადებით, პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით, სერიოზული ხასიათის შენიშვნები არ გააჩნია და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია პროექტის წარმოდგენილის სახით დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 28 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 27, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიუღია: რ. სერგია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N43 ოქმს თან ერთვის)

2. „ხობის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" დადგენილების პროექტის და ხობის მუნიციპალიტეტის 2019 წლისა და 2020-2022 წლების ადგილობრივი ბიუჯეტის პრიორიტეტებისა და პროგრამების დოკუმენტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;

თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: დ. ჭოჭუა - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" და ხობის მუნიციპალიტეტის 2019 წლისა და 2020-2022 წლების ადგილობრივი ბიუჯეტის პრიორიტეტებისა და პროგრამების დოკუმენტი

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: მ. ქარდავა - გამომსვლელი დაინტერესდა, თუ რატომ იზრდებოდა არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ორგანიზებული ტრენინგებისთვის სამივლინებო ხარჯები, როდესაც უამრავი არასამთავრობო ორგანიზაციებია, რომლებიც საკუთარი დაფინანსებით ადგილობრივ თვითმმართველობებს ეხმარება, საჯარო მოხელეების კვალიფიკაციის ამაღლებაში.

ზ. ბუკია - მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი - განმარტა, რომ მუნიციპალიტეტი გაწევრიანებულია საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ფინანსისტთა ასოციაციაში და ვალდებულნი არიან, შესაბამისი თანხები გათვალისწინებული ჰქონდეთ, საჯარო მოხელეების სამვლინებო ხარჯებისთვის. როდესაც მუნიციპალიტეტი იღებს სარგებელს, მაშინ მუნიციპალიტეტი ვალდებულია შესაბამისი თანხები გაითვალისწინოს თანამშრომლების კვალიფიკაციის ასამაღლებლად.

მ. ქარდავა - შპს „ხობი დასუფთავება და განათებისთვის" დამატებით გამოყოფილ იქნა 30,0 ათასი ლარი, შპს-ს ფუნქცია-მოვალეობის შესასრულებლად უამრავი ტექნიკა გააჩნდა, ამ ეტაპზეც კიდევ გარკვეული თანხა ემატებოდა და დაინტერესდა შპს-ს ამონაგები რატომ არ იზრდებოდა?

გ. თათარიშვილი - შპს „ხობი დასუფთავება და განათება" დირექტორის მოადგილე - განმარტა, რომ მოსახლეობა ვერ იხდიდა მომსახურების საფასურს და შესაბამისად ამონაგებიც ვერ იზრდებოდა.

დებატების დასრულების შემდგომ სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (ტ. ალექსანდრია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

ტ. ალექსანდრია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნები წარმოდგენილ საკითხებთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა: 1) ხობის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტით შემოსავლები განისაზღვრა 8424,6 ათასი ლარით, აქედან: გადასახადები 7750,0 ათასი ლარი, გრანტები 210.0 ათასი ლარი (აქედან: 210,0 ათასი ლარი - მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად), სხვა შემოსავლები 464,6 ათასი ლარი. ხობის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტით ხარჯები განისაზღვრა 7609,8 ათასი ლარით. აქედან: შრომის ანაზღაურება 1997,1 ათასი ლარი, საქონელი და მომსახურება 1021,1 ათასი ლარი, პროცენტი 71,6 ათასი ლარი, სუბსიდიები 3881,2 ათასი ლარი, სოციალური უზრუნველყოფა 497,1 ათასი ლარი და სხვა ხარჯები 141,7 ათასი ლარი. ხობის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის საოპერაციო სალდო განისაზღვრა 814,8 ათასი ლარით, არაფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვრა 620,0 ათასი ლარით. აქედან: ზრდა 710,0 ათასი ლარი, კლება - 90.0 ათასი ლარი. ხობის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვრა 194,8 ათასი ლარით. ხობის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შემოსულობები განისაზღვრა 8514,6 ათასი ლარით, აქედან: შემოსავლები - 8424,6 ათასი ლარი, არაფინანსური აქტივების კლება - 90.0 ათასი ლარით. ხობის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის გადასახდელები განისაზღვრა 8514,6 ათასი ლარით, აქედან: ხარჯები - 7609,8 ათასი ლარით, არაფინანსური აქტივების ზრდა - 710,0 ათასი ლარით, ვალდებულებების კლება - 194,8 ათასი ლარით. მერიის შესაბამისი სამსახურის მხრიდან, პროექტში გათვალისწინებულია კომისიის მიერ შემუშავებული შენიშვნები და წინადადებები; 2) ხობის მუნიციპალიტეტის მერიამ წარმოადგინა ხობის მუნიციპალიტეტის 2019 წლისა და 2020-2022 წლების ადგილობრივი ბიუჯეტის პრიორიტეტების, პროგრამების და მათთვის გამოყოფილი ასიგნებების სტრუქტურა. პრიორიტეტად განსაზღვრულია: წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება; თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება; ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექპლოატაცია; განათლება; კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები; მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა. გამომსვლელის განცხადებით, მერიის მიერ წარმოდგენილი პროექტები მომზადებულია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მათი დამტკიცება საკრებულოს სხდომაზე.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 26 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 26, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: კ. ლატარია, რ. სერგია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N44 ოქმს თან ერთვის)

კენჭისყრის დასრულების შემდგომ მუნიციპალიტეტის მერმა გ. ქაჯაიამ სიტყვა ითხოვა და საკრებულოს წევრებს და დამსწრე საზოგადოებას მიულოცა დამდეგი შობა-ახალი წელი, უსურვა მათ წარმატებები, როგორც პირად, ისე სამსახურეობრივ საქმიანობაში. ასევე მიულოცა 2019 წლის მთავარი საფინანსო დოკუმენტის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცება. განაცხადა, რომ სხდომაზე გამოთქმული შენიშვნები საქმიანი იყო და გათვალისწინებული იქნება მომავალში. მისი განცხადებით, ბიუჯეტის თანხები ეფექტურად და მიზანმიმართულად იქნება გადანაწილებული, „რაც შეეხება 2018 წელს უამრავი ინფრასტრუქტურული პროექტები იქნა განხორციელებული, ინფრასტრუქტურული პროექტებისთვის გათვალისწინებული თანხები მუნიციპალიტეტის მიერ 100%-ით იქნა ათვისებული. ეს მერიის და საკრებულოს ურთიერთ თანამშრომლობის შედეგია და ვიმედოვნებ 2019 წელი უფრო მეტად წარმატებული იქნება ხობის მუნიციპალიტეტისთვის“ - განაცხადა გ. ქაჯაიამ.

3. „ხობის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიკურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის 2018 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის N82 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: შ. კანკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმეების სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: შ. კანკია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიკურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის 2018 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის N82 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა. გამომსვლელის განცხადებით, საკრებულოს განათლების, კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის საავადმყოფო ფურცელზე ყოფნის გამო, კომისიის დასკვნას წარმოადგენდა ამავე კომისიის წევრი მზია ლემონჯარია და სთხოვა მას წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

მ. ლემონჯარია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ მერიის განმარტებით ხობის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიკურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის 2018 წლის მუნიციპალურ პროგრამაში საოპერაციო და ქიმიო, იოდო და სხივური თერაპიის მკურნალობის ხარჯების დაფინანსების მუხლში გამოყოფილი თანხა არასაკმარისი აღმოჩნდა და დამატებულ იქნა 30000 ლარი, ხოლო ხანძრით და სტიქიით დაზარალებულთა დახმარების მუხლს დაემატა 50000 ლარი. ასევე პროგრამაში არსებული ეკონომიის ხარჯზე განხორციელდა მუხლებს შორის თანხების გადანაწილება საჭიროებების შესაბამისად, კერძოდ: მრავალშვილიანთა დახმარების თანხა შემცირდა 600 ლარით, ობოლთა დახმარება - 450 ლარით, 100 წლის და 100 წელს გადაცილებულთა დახმარება - 300 ლარით, ახალშობილთა დახმარების თანხა - 4000 ლარით, დიალიზზე მყოფ მოქალაქეთა დახმარება - 2500 ლარით, სოციალურად დაუცველი ოჯახების სახლების შესაკეთებლად დახმარების თანხა - 7500 ლარით, 0-18 წლამდე სამედიცინო სარეაბილიტაციო დახმარების თანხა - 1050 ლარით, 8 აგვისტოს ომის დროს დაღუპულთა ოჯახების დახმარება - 200 ლარით, აფხაზეთის ომში დაღუპულთა ოჯახების დახმარება - 200 ლარით, უსახლკაროდ დარჩენილთათვის ბინის ქირის დახმარება - 1900 ლარით, ოჯახში ძალადობის მსხვერპლის დახმარება - 600 ლარით და შშმ პირთა მაღალტექნოლოგიური გამოკვლევის დახმარება - 4000 ლარით, შესაბამისად გაიზარდა საოპერაციო და ქიმიო, იოდო და სხივური თერაპიის მკურნალობის ხარჯების დაფინანსება - 45000 ლარით; ხანძრით და სტიქიით დაზარალებულთა დახმარების ხარჯი - 50000 ლარით; „C“ ჰეპატიტით დაავადებულთათვის გამოკვლევის დაფინანსების ხარჯების დაფინანსების დახმარების ხარჯი - 8000 ლარით; დევნილთა დაკრძალვის ხარჯი - 300 ლარით. გამომსვლელის განცხადებით, ხობის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მომზადებული განკარგულების პროექტი აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი წარმოდგენილი სახით დამტკიცება საკრებულოს სხდომაზე.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 23 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 23, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: კ. ლატარია, რ. სერგია, მ. ქარდავა, ტ. ალექსანდრია, გ. ქაძანაია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N47 ოქმს თან ერთვის)

4. „ხობის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიკურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის 2019 წლის მუნიციპალური პროგრამის თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: შ. კანკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმეების სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: შ. კანკია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიკურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის 2019 წლის მუნიციპალური პროგრამის თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა. რის შემდგომაც, სთხოვა საკრებულოს განათლების, კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრს (მ. ლემონჯარია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

მ. ლემონჯარია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ პროგრამით მოსარგებლე პირთა წრეს მიეკუთვნებიან ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული: მარტოხელა პენსიონერები; იძულებით გადაადგილებული პირები; ომის ვეტერანები; არასრულწლოვანი ობლები; მრავალშვილიანი ოჯახები; ავადმყოფები; უმუშევრები; ეკონომიკურად შეჭირვებული

და სიღატაკის ზღვარს მიღმა მყოფი მოქალაქეები; მოქალაქეები, რომლებიც სტიქიის შედეგად საჭიროებენ გადაუდებელ დახმარებას; ახალშობილთა ოჯახები; 100 და 100 წელს ზემოთ ასაკის მოქალაქეები; დიალიზზე მყოფი მოქალაქეები; ჩერნობილის ტრაგედიის დროს დაზარალებულები; 18 წლამდე ასაკის მქონე პირები; უსახლკაროები, რომლებიც საჭიროებენ თავშესაფარს; „C" ჰეპატიტით დაავადებული პირები; სოციალურად დაუცველი ოჯახები, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან მონაცემთა ერთიან ბაზაში, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100 ათას ქულას და რომელთა სახლები ავარიულ მდგომარეობაშია; ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მქონე პირები; შშმ პირები (მაღალ-ტექნოლოგიური გამოკვლევების (კორონაროგრაფია, კომპიუტერული ტომოგრაფია, მაგნიტურ რეზონანსული ტომოგრაფია) ერთჯერადი დახმარების ფარგლებში) და 0-18 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები. 2018 წლისგან განსხვავებით, ხობის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის 2019 წლის მუნიციპალური პროგრამის ღონისძიებებში დამატებულია 0-18 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის არასამთავრობო ორგანიზაციების სოციალური პროგრამების კერძოდ: დღის ცენტრის თანხის (კომუნალური ხარჯების) თანადაფინანსება, საოპერაციო (გადაუდებელი და გეგმიური ოპერაციები) ქიმიო, იოდო და სხივური თერაპიის მკურნალობის ხარჯების დაფინანსება და განისაზღვრა ანგარიშ-ფაქტურით წარმოდგენილი ხარჯების 0%-იდან 50%-ის ფარგლებში და არაუმეტეს 1000 ლარისა, ერთჯერადად, სათანადო დოკუმენტაციის წარმოდგენის საფუძველზე, ავადმყოფის საავადმყოფოდან გაწერამდე, პაციენტის მიერ გადაუხდელი თანხის მიხედვით. ასევე ერთჯერადი ფულადი დახმარება ეკონომიკურად შეჭირვებული მოქალაქეებისთვის, განისაზღვრა 100 ლარის ოდენობით. გამომსვლელის განცხადებით, მერიის მიერ მომზადებული განკარგულების პროექტი აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი წარმოდგენილი სახით დამტკიცება საკრებულოს სხდომაზე.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 23 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 23, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: კ. ლატარია, რ. სერგია, კ. მიქაბერიძე, მ. ფილიპია, გ. ქაძანაია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N48 ოქმს თან ერთვის)

5. „ხობის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის 2019 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: შ. კანკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმეების სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: შ. კანკია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის 2019 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა. რის შემდგომაც, სთხოვა საკრებულოს განათლების, კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრს (მ.ლემონჯარია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

მ. **ლემონჯარია** - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიკურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობის მიზნით ხობის მუნიციპალიტეტის მერიის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმეების სამსახურის მიერ მომზადდა განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის 2019 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“. გამომსვლელის განცხადებით, მერიის მიერ მომზადებული განკარგულების პროექტი აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი წარმოდგენილი სახით დამტკიცება საკრებულოს სხდომაზე.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 24 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 24, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: კ. ლატარია, რ. სერგია, კ. მიქაბერიძე, გ. ქაძანაია)

გადაწყვეტილება მიღებულია

სხდომის თავმჯდომარემ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ ისაუბრა 2018 წელს მუნიციპალიტეტის მხრიდან განხორციელებულ სამუშაოებთან დაკავშირებით და დადებითად შეაფასა გაწეული საქმიანობა. აღნიშნა, რომ უამრავი ინფრასტრუქტურული პროექტები განხორციელდა მუნიციპალიტეტის მასშტაბით, რაც უდაოდ აღსანიშნავია. დასასრულს საკრებულოს წევრებს და დამსწრე საზოგადოებას მიულოცა დამდეგი შობა-ახალი წელი და წარმატებები უსურვა მათ.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ 2018 წლის საკრებულოს ბოლო სხდომა სახელმწიფო ჰიმნის მოსმენის შემდეგ დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე ედიშერი ჯობავა

მეოთხე მოწვევის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის სხდომაზე დამსწრე საკრებულოს

წევრთა სია

1. ედიშერ ჯობავა
2. მამუკა ქარდავა
3. ვლადიმერ ქანთარია
4. დავით ბერაია
5. ტარიელ ალექსანდრია
6. თეა გელანტია
7. ბექა მამაცაშვილი
8. მერაბ ფილიპია
9. კახა ლატარია
10. გოჩა სიჭინავა
11. შადიმან ჭილაია
12. ფრიდონ შონია
13. დავით ცინაძე
14. კონსტანტინე ნასარაია
15. გიგა ნასარაია
16. ლაშა ცატავა
17. აბელი ქირია
18. გენადი ქაძანაია
19. კახა მიქაბერიძე
20. როლანდ სერგია
21. ავთანდილ ხუნჯუა
22. გია წულაია
23. გოჩა ჯობავა
24. აკაკი ხურცლავა
25. ნიკოლოზ ვეკუა
26. კობა გოქაძე
27. მზია ლემონჯარია
28. იგორი გოგოლაძე